



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media.

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. შშმ პირების ცხოვრების ამსახველი ფილმების ფესტივალი
2. საგრანტო კონკურსი
3. „საავტორო მიდგომა მედიასთან“ - ონლაინ შეხვედრა ფოტოგრაფ ტატიანა ტკაჩოვასთან
4. პროფესიული გაცვლითი პროგრამა InterActions
5. კორუფციასთან ბრძოლის საბაზო სკოლის სტიპენდია ვილნიუსში
6. კორუფციასთან ბრძოლის და ადამიანის უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი ალარდის პრემია და ფოტოკონკურსი
7. საგამოძიებო ჟურნალისტიკის გრანტები
8. საგრანტო კონკურსი: კულტურის და აუდიო ვიზუალური კონტენტის თანხვედრა ციფრული ჟურნალისტიკის მეშვეობით
9. კონკურსი რეგიონალური მედიის ჟურნალისტებისა და ფრილანსერებისთვის
10. პულიცერის ცენტრის გრანტები კორონავირუსით გამონვეული კრიზისის გასაშუქებლად
11. ჟურნალისტიკის უფასო კურსები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის
12. Facebook ინვესტიციები საინფორმაციო ინდუსტრიის მხარდასაჭერად
13. უფასო ონლაინ კურსი: ჰიპოთეზების შემოწმება ჯანდაცვაში
14. უფასო ვებინარების სერია COVID-19 გაშუქების შესახებ ინტერნუსისაგან
15. IWMF-ის ფინანსური მხარდაჭერა
16. COVID-19-თან დაკავშირებული თემების გაშუქების ვებინარების სერია
17. საგამოძიებო ჟურნალისტიკის უფასო ონლაინ ვიდეო კურსი
18. დარტის ცენტრის ვებინარები COVID-19-ის გაშუქების შესახებ
19. ციფრული უსაფრთხოების უფასო ტრენინგი
20. ჯგუფი COVID-19 და მედია

შეძელით თუ არა ჩვენ მიერ მონოდებული შესაძლებლობების გამოყენება?
გთხოვთ, მოგვწერეთ info@baltic.media.

თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება ამ საქმიანობის გაგრძელებაში!

1. შშმ პირების ცხოვრების ამსახველი ფილმების ფესტივალი

გეოგრაფია- მსოფლიო

BOSIFEST <http://www.bosifest.rs/en/> – შშმ პირების შესახებ მომზადებული ფილმების და ასევე, შშმ პირების მიერ გადაღებული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება 19-21 დეკემბერს ბელგრადში, სერბეთი. ფესტივალის თემა - შშმ პირების ცხოვრება და მათი საქმიანობა.

საკონკურსოდ მიიღება 100 წუთამდე ხანგრძლივობის დოკუმენტური ფილმები, რომლებიც შექმნილია 5 წლიან პერიოდში, სერბულ ან ინგლისურ ენაზე. სხვა ენებზე შექმნილ ნამუშევრებს უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი სუბტიტრები.

დანვრილებით: <https://bit.ly/2vJuqk2>

ვადა: 24 აპრილი 2020 წ.

2. საგრანტო კონკურსი

გეოგრაფია- მსოფლიო

Coda Story იღებს საკონკურსო განაცხადებს დამწყები და გამოცდილი ჟურნალისტებისაგან 9 თვიან გრანტზე. სტიპენდიის ოდენობა შეადგენს 16 000 დოლარს. ის გამოიყოფა საგამოძიებო მასალის ან მასალების სერიისთვის. თემები უნდა ეხებოდეს: დეზინფორმაცია, ავტორიტარული რეჟიმების ტექნოლოგიები, ომი მეცნიერების წინააღმდეგ. მუშაობისას ავტორები ისარგებლებენ მენტორების და Coda Story-ს რედაქტორების მხარდაჭერით. მონაწილეები სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას და ჰქონდეთ ინგლისურ ენაზე მუშაობის გამოცდილება.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aZyo7H>

ვადა: 26 აპრილი, 2020 წ.

3. „საავტორო მიდგომა მედიასთან“ - ონლაინ შეხვედრა ფოტოგრაფ ტატიანა ტკაჩოვასთან

გეოგრაფია- მსოფლიო

ტატიანა ტკაჩოვა გახლავთ არაერთი საერთაშორისო კონკურსების და ფესტივალების გამარჯვებული და ფინალისტი. ის არის მსოფლიო ფოტო პრემიის World Press Photo-2020-ის ფინალისტი. მისი ნამუშევრები გამოქვეყნებულია შემდეგ გამოცემებში: The Guardian, Spiegel Online, Ostpol Magazine, Lenta.ru, Bird in Flight, Звязда, Imena.mag, Onliner, TUT.by.

შემოქმედებით ონლაინ შეხვედრას ატარებს «მედია ტრენერების და მედია სპეციალისტების მომზადების ცენტრი» <https://baj.by/>.

ტატიანა ტკაჩოვა მოყვება ფოტოგრაფიის და ისტორიების შექმნის საკუთარი გზის შესახებ. განხილული იქნება თი როგორ შეიცვალა ფოტოგრაფიის საქმიანობა თანამედროვე მედიაში და რატომ არ კმარა მხოლოდ ლამაზი ფოტოების შექმნის უნარი დღეს. მონაწილეობა უფასოა, მაგრამ აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია.

დანვრილებით: <https://bit.ly/2V4IX3D>

თარიღი: 29 აპრილი, 2020 წ 18:30-დან 20:00-მდე.

4. პროფესიული გაცვლითი პროგრამა InterActions

გეოგრაფია- სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა

პრადის სამოქალაქო ცენტრი იღებს განაცხადებს პროგრამა InterActions-ში სტაჟირების მიზნით. სტაჟირება დაგეგმილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და ბალკანეთის ქვეყნების ორგანიზაციებში. პროგრამა განკუთვნილია ჟურნალისტებისთვის, აქტივისტებისთვის, ექსპერტ-ანალიტიკოსებისთვის, მკვლევარებისთვის.

თავდაპირველად, კანდიდატებმა უნდა შეარჩიონ სტაჟირებისთვის ორგანიზაცია, მიიღონ მათი თანხმობა და ჩამოყალიბდნენ სამუშაო პროექტის თაობაზე. სტაჟირება ჩვეულებრივ 1-2 თვეს გრძელდება. კანდიდატებს შეუძლიათ განაცხადი წარადგინონ 4 ათას ევრომდე გრანტის მისაღებად. თანხის ნაწილს (1000 ევრო) მიიღებს მასპინძელი ორგანიზაცია.

სტაჟირება წარიმართება 2020 წლის სექტემბერ-დეკემბერში და 2021 წლის თებერვალ-მაისში და ივნის-აგვისტოში.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aPnxwK>

ვადა: 30 აპრილი, 2020 წ.

5. კორუფციასთან ბრძოლის საზაფხულო სკოლის სტიპენდია ვილნიუსში

გეოგრაფია - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, პოლონეთი, რუსეთი, ტაივანი, უკრაინა

საზაფხულო სკოლა Transparency International School on Integrity 6-12 ივლისის პროგრამის მონაწილეები გაეცნობიან უახლეს მექანიზმებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. მათ ასევე, მიეცემათ საკუთარი იდეების რეალიზების საშუალება. კურსი მოიცავს ლექციებს, სემინარებს, ტრენინგებს და ექსკურსიებს.

განაცხადების წარდგენა შეუძლიათ სტუდენტებს, ახალ კურსდამთავრებულებს და გამოცდილ პუბლიცისტებს არაუმეტეს 35 წლისა..

სწავლების საფასური შეადგენს 800 ევროს. ორგანიზატორები სთავაზობენ სრულ ან ნაწილობრივ სტიპენდიებს შებლუდული რაოდენობით. სრული სტიპენდია ფარავს სამგზავრო, საცხოვრებელ და კვების ხარჯებს.

დანვრილებით: <https://bit.ly/38pIQDj>

ვადა: 30 აპრილი 2020 წ.

6. კორუფციასთან ბრძოლის და ადამიანის უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი ალარდის პრემია და ფოტოკონკურსი

გეოგრაფია - მსოფლიო

ფოტოკონკურსზე ნამუშევრების წარდგენა შეუძლიათ პროფესიონალ და დამწყებ ფოტოგრაფებს, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების და კორუფციასთან ბრძოლის თემაზე.

ალარდის პრემია (Allard Prize Photography Competition) გადაეცემა საუკეთესო ნამუშევრებს, რომლებიც პრემიის იდეალებთან არის თანხვედრაში <https://www.allardprize.org/prize-criteria>.

საპრიზო კომიტეტი 6 გამარჯვებულს შეარჩევს. თითოეული მიიღებს ჯილდოს სახით 1 000 კანადურ დოლარს.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aOd5FV>

ვადა: 1 მაისი 2020 წ.

7. საგამოძიებო ჟურნალისტიკის გრანტები

გეოგრაფია- მსოფლიო

გრანტის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ გამოძიებულ ჟურნალისტებს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის ფონდის მიერ შეთავაზებული გრანტების მიზანია <http://fij.org/>, – საგამოძიებო პროექტების მხარდაჭერა ისეთ თემებზე როგორცაა: კორუფცია და თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

გრანტის მაქსიმალური ოდენობაა - 10 000 აშშ დოლარი. თანხა განკუთვნილია მგზავრობის ხარჯებისთვის, დოკუმენტების მიღებისა და ტექნიკის დაქირავებისათვის. თანხის ნახევარი გადაეცემა პროექტის დამტკიცებისთანავე, მეორე ნახევარი გამოძიების დარულებისთანავე. გრანტის მიღების პრეტენდენტი შეიძლება იყოს ამერიკული ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის გამოძიებაც ეხება ამერიკას, მთავრობას, ბიზნესს, მოქალაქეებს. მასალები უნდა გამოქვეყნდეს ინგლისურ ენაზე.

დანვრილებით: <https://bit.ly/2V5ep0y>

ვადა: 4 მაისი 2020 წ.

8. საგრანტო კონკურსი: კულტურის და აუდიო ვიზუალური კონტენტის თანხვედრა ციფრული ჟურნალისტიკის მეშვეობით

გეოგრაფია - სომხეთი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა

დონორი - პროგრამა Creative Europe. კონკურსი მონაწილეები – მედია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მხარდაჭერას მიიღებს შემდეგი პროექტები:

- პროექტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების სექტორებში თანამშრომლობის ახალ ფორმებს. მათ შორის, აუდიო ვიზუალური, უახლესი ტექნოლოგიების, ვირტუალური რეალობის გამოყენებით.

- პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს დარგთაშორის ინოვაციურ მიდგომებს და იმ ინსტრუმენტების განვითარებას, რომელიც ემსახურება კულტურის და კრეატიულობის წვდომის და მონეტიზაციის გაზრდას.

დანვრილებით: <https://bit.ly/2Q8efE3>

ვადა: 14 მაისი 2020 წ. 17:00 ბრიუსელის დროით.

9. კონკურსი რეგიონალური მედიის ჟურნალისტებისა და ფრილანსერებისთვის

გეოგრაფია- მსოფლიო

აღნიშნულ კონკურსზე განცხადის წარდგენა შეუძლიათ ბეჭდური და ონლაინ გამოცემების ჟურნალისტებს მთელი მსოფლიოდან

კურტ შორკის და Thomson Reuters ფონდი ატარებენ კურტ შორკის სახელობის კონკურსს. პრემია გაიცემა მიღწევებისათვის საერთაშორისო ჟურნალისტიკაში.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფრილანსერებს, რეგიონალური მედიის ჟურნალისტებს განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებიდან.

კონკურსი ეძღვნება ამერიკელ ფრილანსერს, რომელიც 2000 წერილს სააგენტო Reuters დავალების შესრულებისას სიერა-ლეონეში დაიღუპა.

საკონკურსო ნამუშევრები მიიღება სამ ნომინაციაში: ფრილანსერები, საერთაშორისო ამბების გაშუქება; რეგიონალური მედიის რეპორტიორები, რომლებიც აშუქებენ საკუთარი ქვეყნების ან რეგიონის ახალ ამბებს; და „ფიქსერების“ პრემია, რომლებიც ახალი ამბების ჟურნალისტებთან თანამშრომლობენ. გამარჯვებულებს გადაეცემათ 5 000 დოლარი, ლონდონში გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე.

ნამუშევრები უნდა ეხებოდეს კონფლიქტებს, ადამიანის უფლებებს, ტრანსსასაზღვრო პრობლემებს და ნებისმიერ სხვა საკითხს რომელიც კონკრეტული ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი. მასალები უნდა იყოს თარგმნილი ინგლისურად. მიიღება ნაშრომები გამოქვეყნებული 2019 წლის 1 ივნისიდან 2020 წლის 31 მაისამდე.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aZNcCU>

ვადა: 31 მაისი 2020 წ.

10. პულიცერის ცენტრის გრანტები კორონავირუსით გამონვეული კრიზისის გასაშუქებლად

გეოგრაფია - მსოფლიო

პულიცერის ცენტრი აცხადებს კონკურსს პროექტებზე, რომლებიც მიმართულია ახალი კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის გაშუქებაზე (Coronavirus News Collaboration Challenge).

ჟურნალისტებს შეუძლიათ წარმოადგინონ პროექტების იდეები, რომლებიც გულისხმობს ინოვაციურ მიდგომებს. პროექტი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ჟურნალისტის თუ მედიის რესურსების გაერთიანებას, მეტი აუდიტორიის მოზიდვის მიზნით. მზა მასალა რამდენიმე პლატფორმაზე უნდა გამოქვეყნდეს.

პროგრამა განსაკუთრებით დაინტერესებულია პროექტებით, რომლებიც ფოკუსირებულია სისტემური პრობლემების გაშუქებაზე.

გრანტის მოცულობა 5-დან 30 ათას დოლარამდეა. განაცხადები მიიღება ღია კარის პრინციპით.

დანვრილებით: <https://bit.ly/2x7eGbd>

11. ჟურნალისტიკის უფასო კურსები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის

გეოგრაფია - მსოფლიო

ამ უფასო რესურსით სარგებლობა შეუძლია ჟურნალისტიკის ლექტორებს და სტუდენტებს.

ორგანიზაცია Poynter გთავაზობთ უფასო ონლაინ რესურსების სერიას, მათ ვისზეც COVID-19-მა დიდი გავლენა მოახდინა. პროექტი მოიცავს ისეთ კურსებს, როგორცაა: „ენის სახელმძღვანელო“, „ახალი ამბების წიგნიერება: როგორ შევაფასოთ ინფორმაცია“, „ტექსტის წერა სამაუწყებლო პროგრამებისთვის: წერეთ ისევე, როგორც საუბრობთ“, „როგორ გამოგვივიდეს სწორად: სიზუსტე და გადამოწმება ციფრულ ეპოქაში“, „აუდიტორიის ანალიზი რეპორტიორებისთვის“ და ა.შ.

დანვრილებით: <https://bit.ly/34e4vxy>

უფასო ნვდომა 31 მაისამდე, გამოიყენეთ შემდეგი კოდი: 20COLLEGE100

12. Facebook ინვესტიციები საინფორმაციო ინდუსტრიის მხარდასაჭერად

გეოგრაფია- მსოფლიო

Facebook-მა საინფორმაციო ინდუსტრიის მხარდასაჭერად 100 მილიონი დოლარის ინვესტირების თაობაზე განაცხადა- 25 მილიონი საგანგებო საგრანტო დაფინანსების სახით გამოიყოფა პროექტის « Facebook ჟურნალისტიკის» ფარგლებში, 75 მილიონი კი ახალი ამბების ორგანიზაციებისათვის მთელ მსოფლიოში.

დანვრილებით: <https://bit.ly/2xRdEjC>

13. უფასო ონლაინ კურსი: ჰიპოთეზების შემოწმება ჯანდაცვაში

გეოგრაფია - მთელი მსოფლიო

პლატფორმა Coursera ჰოპკინსის უნივერსიტეტთან ერთად <https://www.jhu.edu/> იწყებს ონლაინ კურსს «ჯანდაცვის ჰიპოთეზების შემოწმება». სწავლების ენა -ინგლისური.

კურსზე ისწავლება:

- სტატისტიკური მეთოდების გამოყენება შერჩევის ანალიზისთვის ;
- შეფასება და ინტერპრეტირება ინტერვალების 95 %-ის, სხვადასხვა ნიმუშისა და მოსახლეობის ორი ჯგუფისთვის ;
- ჰიპოთეზის შემოწმებისთვის p-მნიშვნელობის შეფასება და ინტერპრეტირება.

დანვრილებით: <https://bit.ly/39KzMcz>

14. უფასო ვებინარების სერია COVID-19 გაშუქების შესახებ ინტერნიუსისაგან

გეოგრაფია - აღმოსავლეთ ევროპა, ცენტრალური აზია

ინტერნიუსი ყირგიზეთში მართავს უფასო ვებინარების სერიას COVID-19 გაშუქების თაობაზე, რუსულ ენაზე.

25 მარტს შემდგარ ვებინარზე საუბარი დაეთმო რედაქციების დისტანციურ მუშაობაზე გადასვლასა და ნიშის პოვნას. 2 აპრილს გამართული ვებინარი კი დაეთმო თემას “ როგორ ვესაუბროთ მეცნიერებს და რატომ არის რიცხვები სახიფათო”

17 აპრილს დაგეგმილი ვებინარის თემაა: როგორ გადარჩნენ პანდემიის პირობებში მცირე რედაქციები და რისი შეთავაზება შეუძლიათ მათ აუდიტორიისთვის.

დანვრილებით: <https://bit.ly/34qFT57>

15. IWFM-ის ფინანსური მხარდაჭერა

გეოგრაფია - მსოფლიო

მედიაში დამსქმებული ქალების საერთაშორისო ფონდი იღებს განაცხადებს მხარდაჭერის მოსაპოვებლად, პროექტის „Journalism Relief Fund“ ფარგლებში.

განაცხადების შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტ ქალებს, რომლებიც ფინანსურ პრობლემებს წააწყდნენ. ფონდი ეხმარება ჟურნალისტებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, გაათავისუფლეს ან სასწრაფოდ სჭირდებათ მხარდაჭერა.

მიიღება განაცხადები იმ ჟურნალისტებისაგან, რომლებსაც ამ წუთას სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნიათ და სრულ განაკვეთზე არ უმუშავიათ მინიმუმ 6 თვე და რომელთა ცხოვრებაზეც პირდაპირი გავლენა იქონია გლობალურმა ჯანდაცვის კრიზისმა.

შერჩეული ჟურნალისტები მიიღებ მცირე გრანტებს 2 000 დოლარამდე.

განაცხადების მიღება მიმდინარეობს.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aPuga1>

16. COVID-19-თან დაკავშირებული თემების გაშუქების ვებინარების სერია

გეოგრაფია - მსოფლიო

ვიდეო ჩატარების სერია ორგანიზაციისაგან International Journalists' Network, <https://ijnnet.org/en>. აქტივობა ხორციელდება ჯანდაცვის სფეროში ახალი ამბების გაშუქების გლობალური ფორუმის პროექტის ფარგლებში. ვიდეო ჩატებში ერთვებიან ექსპერტები COVID-19-ის პანდემიის საკითხებში. ენები: ინგლისურის და ესპანური.

ვებინარებზე მიწვეული არიან ჟურნალისტების რომლებიც ახალი კორონა ვირუსის საკითხებს აშუქებენ. ვებინარების სერია ჩაეშვა 24 მარტს. ჟურნალისტებს შეკითხვების დასმა ჩატის დროს შეუძლიათ. კომენტარები და პასუხები იქნება ჩანერილი და ჟურნალისტებს შეეძლება ექსპერტების ციტირება.

ვებინარების არქივები ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს შემდეგ ბმულზე: YouTube.

დანვრილებით: <https://bit.ly/39My0I9>

17. საგამოძიებო ჟურნალისტიკის უფასო ონლაინ ვიდეო კურსი

გეოგრაფია - მსოფლიო

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კრეიგ ნიუმარკის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლა გთავაზობთ საგამოძიებო ჟურნალისტიკის ვიდეო კურსს (Investigative journalism in the open). კურსის გავლა შეუძლია ყველას ვინც საგამოძიებო ჟურნალისტიკით არის დაინტერესებული.

ლექციების ამ სერიაში Washington Post-ის რეპორტიორი და პულიცერის პრემიის ლაურეატი დევიდ ფარენტჰოლდი <https://twitter.com/Fahrenheit> გაგიზიარებთ საკუთარ გამოცდილებას და მუშაობისას გამოყენებული ხერხებს.

კურსის მოდული მოიცავს პოლიტიკის და არჩევნების თემატიკის გაშუქებას. ასევე, ისეთი ტიპის საგამოძიებო მასალების მიმოხილვას, როგორცაა ფარენტჰელდის გამოძიება ტრამპის ფონდის საქმიანობის შესახებ.

კურსი გათვლილია დამოუკიდებელ მუშაობაზე და მისი გავლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

რეგისტრაცია საჭირო არ არის

დანვრილებით: <https://bit.ly/2JloBa3>

18. დარტის ცენტრის ვებინარები COVID-19-ის გაშუქების შესახებ

გეოგრაფია- მსოფლიო

დარტის ცენტრი Columbia Journalism Review-თან ერთად <https://www.cjr.org/> აწყობს ონლაინ საუბრების სერიას კორონა ვირუსის პანდემიის დროს ჟურნალისტური საქმიანობის სირთულეების თაობაზე.

ყველა მსურველს შეუძლია ვებინარების სერიას შეუერთდეს. ვებინარების სერიის ტრანსლირება მოხდება 24 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით. მათ გაუძღვებიან ექსპერტები, ნოვატორები ახალი ამბების ინდუსტრიაში.

საარქივო მასალებზე წვდომა ღიაა ნებისმიერ დროს.

დანვრილებით: <https://bit.ly/3bTqInI>

19. ციფრული უსაფრთხოების უფასო ტრენინგი

გეოგრაფია - მსოფლიო

Free Press Unlimited <https://www.freepressunlimited.org/en> და Greenhost-მა <https://greenhost.net/> ჩაუშვეს პლატფორმა ონლაინ სწავლებისათვის - Totem. პლატფორმა ორიენტირებული ჟურნალისტებსა და აქტივისტებზე. კონტენტი ხელმისაწვდომია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. პლატფორმის გამოყენება შეუძლიათ მათ, ვინც დაინტერესებულია ციფრული უსაფრთხოების ინსტრუმენტების შესწავლით .

ახლა პლატფორმაზე ხელმისაწვდომია 8 კურსი: „ როგორ მუშაობს ინტერნეტი“, „შეტყობინებების უსაფრთხო გაცვლის აპლიკაციები“, „სანდო ფასვორდები“ და სხვა

თითოეული კურსის ხანგრძლივობაა ერთი საათი, მათი გავლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

დანვრილებით: <https://totem-project.org/>

20. ჯგუფი COVID-19 და მედია

ჯგუფი COVID-19 და ბალტიის მედია – Facebook სივრცე რომელსაც ლატვიის, ლიეტუვას და ესტონეთის ჟურნალისტებისთვის არის, შესაძლოა აღმოჩნდეს სასარგებლო სხვა ქვეყნის ჟურნალისტებისთვისაც, რომლები COVID-19 თემაზე მუშაობენ. აქ თქვენ ნახავთ საერთაშორისო ექსპერტების რჩევებს, სასარგებლო ბმულებს, ინფორმაციას გრანტებისა და ვებინარების შესახებ და ა.შ. ინფორმაცია შერჩეული მედიის განვითარების ბალტიის ცენტრის მიერ.

დანვრილებით: <https://bit.ly/3aTo2pP>

შეძელით თუ არა ჩვენ მიერ მოწოდებული შესაძლებლობების გამოყენება?
გთხოვთ, მოგვწერეთ info@baltic.media.

თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება ამ საქმიანობის გაგრძელებაში!

© **Baltic Centre for Media Excellence, 2020**

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუის მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიევსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონეურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- bosifest.rs
- codastory.com
- baj.by
- praguecivilsociety.org
- transparencyschool.org
- allardprize.org
- fij.org
- ec.europa.eu
- ksmfund.org
- pulitzercenter.org
- poynter.org
- facebook.com
- ru.coursera.org
- internews.kg
- iwmf.submittable.com
- icfj.org
- online.journalism.cuny.edu
- dartcenter.org
- totem-project.org